ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1928 წლის ივნისის 16.	№ 14 განყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 144. ა/კსფსრ 1928-29 საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა, მსვლელობისა და განხილვის წესის შესახებ.

„ 145. ა/კსფსრ სახელმწიფო დი ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ უწყებათა და დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებით 1928-29 საბიუჯეტო წლის საადმინისტრაციო საგამგებლო ხარჯების აღრიცხვის წესის შესახებ.

„ 146. 1928-29 წლისთვის სამუშაო ხელფასის ფონდის აღრიცხვის თაობაზე დირექტივების გაცემის შესახებ.

„ 147. 1928-29 საბიუჯეტო წლისთვის ა/კსფსრ სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის საფინანსო ხარჯთაღრიცხვების პროექტებისა და ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენის შესახებ.

დადგენილება № 47 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

144. ა/კსფსრ 1928-29 საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა, მსვლელობისა და განხილვის წესი შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამყარებულ იქნეს ა/კსფსრ 1928-29 საბიუჯეტო წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა, მსვლელობისა და განხილვის შემდეგი წესი:

1. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოხსენებისა და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თანამოხსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნების მიხედვით, გასცემს, არა უგვიანეს 1928 წლის ივნისის 20-სა, საერთო დირექტივებს ა/კსფსრ 1928-29 საბიუჯეტო წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისათვის შემდეგი საკითხების გამო: ა) ა/კსფსრ 1928-29 საბიუჯეტო წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტითა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებით ნავარაუდევი შემოსავალ-გასავლის შესაძლებელი ნამატის წარმართვის შესახებ—ხარჯების უწყებათა ჯგუფებზე და მეურნეობისა და კულტურის ცალკეულ დარგებზე განაწილებით; ბ) სამუშაო ხელფასისა და საადმინისტრაციო ხარჯების აღრიცხვის შესახებ; გ) ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ქსელის შესახებ.

2. 1928 წლის ივნისის 20-ზე არა უგვიანეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ წარდგენილი პროექტის მიხედვით, დაადგენს იმ ხარჯების ნუსხას, რაც ა/კსფსრ ბიუჯეტიდან ადგილობრივ ბიუჯეტს უნდა გადაეცეს და ადგილობრივი ბიუჯეტიდან სახელმწიფო ბიუჯეტს.

3. ა/კსფსრ უწყებანი და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკანი შეადგენენ თავიანთ საშემოსავლო და საგასავლო ხარჯთაღრიცხვებს 1928-29 საბიუჯეტო წლისთვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიცემული დირექტივების საფუძველზე (მუხ. 1) და აგრეთვე 1928-29 საბიუჯეტო წლის ხარჯთაღრიცხვების შედგენისა, განხილვისა და დამტკიცების წესების მიხედვით, რომლითიც გათვალისწინებულია გამარტივებული წესი ხარჯთაღრიცხვების შედგენისა და განხილვისათვის და ამ ხარჯთაღრიცხვების გამო აღძრულ შეუთანხმებლობის გადაწყვეტისათვის. რათა ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის წარდგენა განსაზღვრულ ვადაზე სსრკ სათანადო საკანონმდებლო ორგანოებში უზრუნველყოფილი იყოს, 1928-1929 წლის ხარჯთაღრიცხვები და ბიუჯეტები შედგენილ უნდა იქნეს სრული თანადობით სახარჯთაღრიცხვო წესებისა, როგორც ამ წესებში აღნიშნული ძირითადი დირაქტივების აღსრულებით ხარჯთაღრიცხვების შედგენის შესახებ, ისე ამავე წესებით განსაზღვრული მტკიცე ვადების დაცვით.

4. 1928-1929 წლის საფინანსო ხარჯთაღრიცხვები,—რაც წარდგენილი უნდა იქნეს სახარჯთაღრიცხვო წესებით განსაზღვრულ ვადაზე ერთსადაიმავე დროს ყველა იმ დაწესებულებაში, რომლის წარმომადგენელიც წევრია სახარჯთაღრიცხვო-საბიუჯეტო თათბირისა,—ამ თათბირში განხილვამდე, წინასწარ განხილულ უნდა იქნეს სამუშაო ხელფასის მხრით: ა/კსფსრ გაერთიანებულ და ცენტრალურ დაწესებულებათა მიმართ—ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატში, ხოლო არაგაერთიანებულ უწყებათა მიმართ—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებში—კუთვნილებისამებრ, ფინანსთა სახალხო კომისარიატებისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოებისა, სათანადო კავშირებისა და უწყებების წარმომადგენელთა მონაწილეობით; ამის შემდეგ ხარჯთაღრიცხვები გაეგზავნება სათანადო ფინანსთა სახალხო კომისარიატს სახარჯთაღრიცხვო-საბიუჯეტო თათბირში განსახილველად.

5. სახალხო მეურნეობის სამეურნეო და საოპერაციო გეგმები შედგენილ უნდა იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების საფუძველზე და შემდგომ შეიტანოს ზედმიწევნილობამდე, როდესაც ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტს დაადასტურებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და დაამტკიცებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

6. საჯუმლო საოპერაციო გეგმებს დაამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო იმ ძირითად მაჩვენებელთა მიხედვით, რაც წარდგენილ იქნება უწყებათა მიერ განმარტებით წერილებთან ერთად, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში; ზემოაღნიშნული დამტკიცება მოხდება სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოხსენებით. საოპერაციო გეგმების მაჩვენებლებს უწყებანი აღნიშნულ დაწესებულებებში წარადგენენ იმავე დროს, როდესაც ამ მაჩვენებლებს ისინი წარადგენენ სათანადო საერთო-საკავშირო უწყებაში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. ივნისის 7. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას"-ს 140 №-ში 1928 წ. ივნისის 19-ს.

დადგენილება № 49 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

145. ა/კსფსრ სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ უწყებათა და დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებით 1928-29 საბიუჯეტო წლის საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების აღრიცხვის წესის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაეკალოს საერთო-ფედერატიულ ბიუჯეტზე და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტზე მყოფ ა/კსფსრ ყველა გაერთიანებულ და არაგაერთიანებულ უწყებასა და ცენტრალურ დაწესებულებას, აგრეთვე ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ყველა დაწესებულებას აღრიცხოს 1928-1929 წლის ხარჯთაღრიცხვით საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯებისათვის საჭირო ასიგნები შემდეგ ძირითად დებულებათა მიხედვით:

ა) 1928-1929 წლის ხარჯთაღრიცხვებში, გარდა 1927-1928 წელს განხორციელებული საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შემცირების განმტკიც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების გათვალისწინებულ უნდა იქნეს საერთო წესისამებრ აღნიშნული ხარჯების შემდგომი შემცირება: ეს შემცირება მიღებულ უნდა იქნეს აპარატის რაციონალიზაციით, ზედმეტი ფუნქციების თავიდან აცილებით, ანგარიშგების გამარტივებით, აგრეთვე ხარჯების შემცირებით მმართველობის ორგანოების სადგომების მოვლასა და მომსახურეობაზე, ადმინისტრატიული ხასიათის წარვლინებებზე, საუწყებო გამოცემებზე, ყრილობებისა და თათბირებისათვის მომსახურეობის გაწევაზე და სხვ.;

ბ) 1927-28 წლის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ასიგნვა ისეთი საჭიროებისათვის, რამაც თავი იჩინა მხოლოდ ამ წელს და არ გამეორდება წინამდებარე წელს, ამოშლილ უნდა იქნეს 1928-1929 წლის ხარჯთაღრიცხვიდან საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების დონის გამორკვევის დროს;

გ) სახსარი საადმინისტრაციო-საგამგებლო ხასიათის ახალი საჭიროებისათვის, რამაც შეიძლება თავი იჩინოს 1928-1929 წელს, გამოძებნილ უნდა იქნეს ამა თუ იმ უწყებისა ან დაწესებულების ხარჯთაღრიცხვის შიგნითვე იმ ეკონომიის საშუალებით, რაც მიღწეულ იქნება,ამა მუხლის „ა“ პუნ. თანახმად, საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შემცირებით, კერძოდ, აპარატის შინაგანი სარეგანიზაციო გადახალისებით. ყოველ შემთხვევაში, საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების საერთო თანხა თვითეული ხარჯთაღრიცხვით, ახალ საჭიროებათა ხარჯებითურთ, არ უნდა აღემატებოდეს საადმ.-საგამგებლო ხარჯების საერთო თანხას, რაც დანიშნული იყო ამა თუ იმ უწყებისა ან დაწესებულებისათვის 1927-1928 წლის ბიუჯეტით.

2. მიენდოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს გამოსცენ ერთი კვირის განმავლობაში ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის, კერძოდ, განსაზღვრონ წესი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ ა/კსფსრ დაწესებულებათა სპეციალური სახსარის ხარჯთაღრიცხვებით და აგრეთვე ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებით საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების აღრიცხვისა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. ივნისის 7. ~~ტფილისი — სახალხო~~

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 48 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

146. 1928-29 წლისთვის სამუშაო ხელფასის ფონდის აღრიცხვის თაობაზე დირექტივების გაცემის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ განსაზღვრული საკონტროლო ციფრების ფარგლებში შესადგენი ყოველი უწყების 1928-1929 წლის საფინანსო-საგასაყოო ხარჯთაღრიცხვის სამუშაო ხელფასის ნაწილი შედგენილ უნდა იქნეს იმ თანხების მოთავსებით, რაც საჭიროა:

ა) უწყების შტატებისათვის იმ ჯამაგირების მიხედვით, რაც განსაზღვრულ იქნა 1927-1928 წელს სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივად დანორმვის წესისამებრ ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან არსებული სათანადო კომისიების მიერ—კუთვნილებისამებრ;

ბ) ახალ დაწესებულებათა და სახელმწიფო ბიუჯეტზე ახლად გადაყვანილ დაწესებულებათა შტატებისათვის;

გ) დაწესებულების ახალ განყოფილებათა შტატებისათვის და ცალკეულ ახალ თანამდებობათათვის, უკეთუ შტატების გაფართოება საჭიროდ იქნა ცნობილი;

დ) თანამდებობის მიხედვით დანორმვილი ჯამაგირების პერსონალური ზედნართებისათვის;

ე) მიმდინარე წელს დაწესებულ ჯამაგირებში ცვლილების შეტანისათვის თანამდებობათა ნომენკლატურის გადასინჯვის გამო, რაც შედეგი იყო ჯამაგირების პირდაპირი გადიდებისა ან იმის შედეგი, რომ საჭირო გახდა ამ უწყების მომუშავეთა ჩამორჩენილი ჯგუფებისათვის სამუშაო ხელფასის აწევა;

ვ) ზედმეტი მუშაობისათვის, შვებულებაში წასულთა სამაგიეროდ დროებით მოწვეულთათვის და სხვ.

შენიშვნა. ზედმეტი მუშაობისათვის და შვებულებაში წასულთა სამაგიეროდ მოწვეულთათვის საჭირო ხარჯი გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხარჯთაღრიცხვაში სამუშაო ხელფასის საერთო ფონდიდან განსაზღვრული პროცენტისა ან თანხის გამოყოფის წესით.

2. უწყების მიერ 1928-1929 წლისთვის აღრიცხული სამუშაო ხელფასის ფონდის საბოლოო საერთო რაოდენობა,—იმ თანხების მოთავსებით, რაც საჭიროა ამა დადგენილების 1-ლი მუხლის "ა", „გ", „დ", „ე" და „ვ" პუნქტებში ჩამოთვლილი შტატებისა და ხარჯებისათვის მიმდინარე 1927-1928 საბიუჯეტო წელს მომქმედ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში,—არ უნდა აღემატებოდეს ა/კსფსრ 1927-1928 წლის საბოლოოდ დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრულ სამუშაო ხელფასის ფონდს; თანაც ანგარიშში მიღებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იქნეს ის ცვლილებები, რაც, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილების თანახმად, მოხდა ზოგიერთ უწყებაში 1927-1928 წელს.

1928-1929 წლის სამუშაო ხელფასის ფონდის დატოვება მიმდინარე 1927-1928 წლის ფონდის ფარგლებში,—ყველა იმ ცალკე დანიშნულებათა მოცულობით, რაც ამა დადგენილების 1-ლ მუხლშია ჩაგოთვლილი, „ბ“ პუნქტის გამოკლეკით,—უზრუნველყოფილ უნდა იქნეს უწყების სტრუქტურისა და აპარატის რაციონალიზაციით და გამარტივებით.

3. უწყების მიერ სამუშაო ხელფასის ფონდის აღრიცხვის დროს, ამ ფონდით აღრიცხული თანხები იმ ცალკე დანიშნულებათათვის, რაც ამა დადგენილების 1-ლ მუხლშია ჩამოთვლილი, აუცილებლად გამოყოფილი უნდა იყოს ხარჯთაღრიცხვის სათანადო ნაწილებში ცალკეული გრაფების სახით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. ივნისის 7. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 51 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

147. 1928-29 საბიუჯეტო წლისთვის ა/კსფსრ სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის საფინანსო ხარჯთაღრიცხვების პროექტებისა და ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამყარებულ იქნეს შემდეგი წესი 1928/1929 საბიუჯეტო წლისთვის ა/კსფსრ სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის საფინანსო ხარჯთაღრიცხვების პროექტებისა და ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესადგენად.

1. საფინანსო ხარჯთაღრიცხვების პროექტების შედგენა.

1. 1928/1929 საბიუჯეტო წლის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის საფინანსო ხარჯთაღრიცხვების პროექტებს შეადგენენ ა/კსფსრ-ისა და მასში შემავალი რესპუბლიკების უწყებანი და დამოუკიდებელი ხარჯთაღრიცხვების მქონე დაწესებულებანი, რომელნიც ჩამოთვლილ არიან „სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა დებულების“ (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 27 №-რი, მუხ. 286) მე-14 მუხლის 1-ლ პუნქტში, და აგრეთვე რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულის სამმართველო ა/კრკინის გზებზე.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

2. ა/კსფსრ-ისა და მასში შემავალი რესპუბლიკების უწყებების მიერ შედგენილ შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებს განიხილავენ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან არსებული სახარჯთაღრიცხვო-საბიუჯეტო თათბირები; ამასთანავე, აღნიშნულ თათბირებში ხარჯთაღრიცხვების განხილვის შემდეგ დარჩენილი სადავო საკითხები გადასწყდება ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრებისა (ან მათი მოადგილეების) და დაინტერესებული უწყების შეთანხმებული დადგენილებით, ხოლო ის სადავო საკითხები, რომლებზედაც შეთანხმება მიღწეული არ იქნება, შეიტანება საბოლოო გადაწყვეტისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებში — კუთვნილებისამებრ.

შენიშვნა. შეუთანხმებლობას ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვების გამო გადასწყვეტს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო.

3. ა/კსფსრ-ისა და მასში შემავალი რესპუბლიკების უწყებათა ხარჯებისათვის საჭირო ასიგნეები, უკეთუ მათი განაცხადები შეთანხმებულ იქნა ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან არსებულ სახარჯთაღრიცხვო-საბიუჯეტო თათბირებში, ბიუჯეტის პროექტებში შეატანება ამ თათბირების მიერ მიღებული რაოდენობით, ხოლო სადავო საკითხების გამო — ისეთი რაოდენობით, რაც მიღებულ იქნება წინა მუხლში აღნიშნული წესისამებრ შეუთანხმებლობის გადაწყვეტის დროს.

4. დანიშნულებანი სახალხო მეურნეობის ფინანსიურად მოგვარებისათვის აღირიცხება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და სათანადო უწყებასა და დაწესებულებასთან ერთად, მხოლოდ საერთო რაოდენობით სახალხო მეურნეობის თვითეული დარგისათვის,ბიუჯეტის საგნობრივ ჯუმლთან შეფარდებით (მრეწველობისათვის, სოფლის მეურნეობისათვის, ელექტროფიკაციისათვის და სხვ.), და მოთავსებულ იქნება ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში სახარჯთაღრიცხვო-საბიუჯეტო თათბირში განუხილველად.

უკეთუ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატსა, სახელმწიფო საგეგმო კომისიასა და სათანადო უწყებასა და დაწესებულებას შორის მოხდა შეუთანხმებლობა, სათანადო დანიშნულება ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში შეიტანება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ ნავარაუდევი თანხის რაოდენოაით.

5. სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების ფინანსიურად მოგვარებისათვის საჭირო დანიშნულებათა თანხების განაწილებას საგასაელო კლასიფიკაციის სახარჯთაღრიცხვო დანაყოფებზე მოახდენს, სსრკ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დადასტურების შემდეგ, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, სათანადო უწყებებთან და დაწესებულებებთან ერთად, ამ უკანასკნელთა საოპერაციო გეგმების თანახმად და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაზე.

6. განსაკუთრებული ფონდებისა და ფონდის ხასიათის მქონე სხვა დანიშნულებათა აღრიცხვას აწარმოებენ ა/კსფსრ-ისა და მასში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები—კუთვნილებისამებრ, დაინტერესებული დაწესებულებების მიერ წარდგენილი სპეციალური განაცხადების საფუძველზე.

7. 1928-1929 საბიუჯეტო წლის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის საფინანსო ხარჯთაღრიცხვების პროექტები შედგენილ უნდა იქნეს სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის იმავე კლასიფიკაციისა და ნომენკლატურის მიხედვით, რომლითაც აღნიშნული ხარჯთაღრიცხვები შედგენილ იქნა 1927-1928 საბიუჯეტო წლისთვის. იმ განსხვავებით, რაც გამოწვეულია მომქმედი კანონმდებლობის ცვლილებით, ხოლო საგასავლო კლასიფიკაციის მიმართ—იმ განსხვავებით, რაც უნდა მოხდეს სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სსრკ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით სახელმწიფო ხარჯების საერთო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ 1927 წ. ივლისის 12-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-4 მუხლის წესისამებრ.

8. ა/კსფსრ-ისა და მასში შემავალი რესპუბლიკების უწყებათა და დაწესებულებათა სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის საფინანსო ხარჯთაღრიცხვები უნდა შეიცავდეს 1928-1929 საბიუჯეტო წლის სახარჯთაღრიცხვო გაიზრახულებათ 1927-1928 საბიუჯეტო წლის დანიშნულებებთან შეფარდებით; ხარჯთაღრიცხვებს დართული უნდა ჰქონდეს მოკლე განმარტების წერილები, რაშიაც მოთავსებული უნდა იყოს: ა) ცნობები უწყებისა თუ დაწესებულების სტრუქტურასა და მათ ფუნქციებში მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რამაც გამოიწვია შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის ცვლილება; ბ) თვითეული იმ საშემოსავლო წყაროს მდგომარეობის დახასიათება, რომელსაც ადმინისტრატიულად განაგებს უწყება თუ დაწესებულება; გ) საანგარიშო ცნობები სათანადო უწყებისა და დაწესებულების მიერ ფინანსიური ხარჯთაღრიცხვის შესრულების შესახებ 1927-1928 საბიუჯეტო წლის პირველ ნახევარში.

9. საფინანსო ხარჯთაღრიცხვაში თვითეული სახარჯთაღრიცხვო დანაყოფის გასწვრივ აღნიშნული უნდა იყოს კანონიერი დასაბუთება შემოსავლისა და გასავლის ხარჯთაღრიცხვაში მოთავსებისათვის (კანონიერი ტიტული), ხოლო 1928-1929 საბ. წლის ხარჯთაღრიცხვაში შეტანილი ცვლილებისა და ახალი ხარჯის შესახებ—აგრეთვე ციფრობრივი გამოანგარიშებაც, რაც დაადასტურებს აღრიცხვის რაოდენობას. გამოანგარიშების აღნიშნვა ისეთი ხარჯებისათვის, რაც წლითი-წლობით განმეორდება, საჭირო არ არის.

კანონიერ ტიტულად ითვლება:

ა) საკანონმდებლო ორგანოს დადგენილება; ბ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება; გ) საკანონმდებლო ორგანოს დადგენილებაზე დამყარებული ადმინისტრატიული განკარგულება.

ნედლეულობისა, საშენი მასალისა და სხვ. შესაძენად საჭირო რაიმე დიდი ხარჯისათვის დანიშნულების აღრიცხვის დროს დასახელებული უნდა იყოს ცნობები, რომ უწყებისა თუ დაწესებულების განკარგულებაში საკმარისი მარაგია სათანადო საგნებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი შენობისა თუ ნაგებობისათვის საჭირო დანიშნულების აღრიცხვა, როდესაც თვითეული შენობას თუ ნაგებობას სჭირდება 50,000 მან. მეტი თანხა, დასაბუთებულ უნდა იქნეს მოდიდო საზომებზე გამოანგარიშებით.

10. შემოსავალ-გასავალი აღრიცხვება 12 თვის ანგარიშით, რისთვისაც დაცულ უნდა იქნეს სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ივლისის 30-ს დადგენილება—სსრკ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის დამთავრების წესის შესახებ—(სსრკ კან. კრ. 1927 წ. 48 №-რი, მუხ. 496).

11. დანორმვილი შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა უნდა სწარმოებდეს იმ ტარიფისა, განაკვეთისა, ნიხრისა და შეფასების თანახმად, რაც სათანადო ხარჯთაღრიცხვის პროექტის შედგენის მომენტში მოქმედობს.

ყოველგვარი საგნის ღირებულების აღრიცხვას უნდა შეეფარდოს, როგორც საერთო წესი, საბითუმო საბაზრო ფასი, რაც სათანადო განაცხადის შედგენის მომენტში არსებობს ან ადგილას, სადაც იმყოფება ის დაწესებულება თუ საწარმო, რომლისთვისაც დამზადებულ უნდა იქნეს აღნიშნული საგანი. უკეთუ საგულვებელია, რომ შესყიდვა ან დამზადება საბითუმო ფასებში შეუძლებელი იქნება, ხარჯები აღირიცხვება ცალობითი ფასებით; თანაც დასაბუთებულ უნდა იქნეს საბითუმო ფასების შეუფარდებლობა.

იმ საგნების ღირებულების აღრიცხვისათვის, რაც შესაძენია სახელმწიფო საწარმო თაგან ცენტრალიზებული წესისამებრ, შეფარდებულ უნდა იქნეს განსაზღვრული წესით დამტკიცებული ფასები.

12. განზრახულებანი ისეთ გადასახადთა განაკვეთისა, სარკინისგზო ტარიფისა, საფოსტო და სატელეგრაფო ნიხრისა და სხვ. შეცვლის შესახებ, რასაც შეუძლიან გავლენა იქონიოს საერთო-საკავშირო სახელმწიფო ბიუჯეტით, საერთო-საფედერაციო ბიუჯეტით ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებით შემოსავლის აღრიცხვაზე, 1928-1929 საბიუჯეტო წლისთვის წარდგენილ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1928 წ. ივნისის 25-სა, რათა ჯეროვან შემთხვევაში სსრკ სათანადო ორგანოს წარედგინოს.

13. უცხოეთის ვალიუტით საგულვებელი შემოსავალ-გასავალი შეიტანება ნავარაუდვე შემოსავალ-გასავლის საერთო თანხებში სათანადო სახარჯთ-აღრიცხვო დანაყოფის მიხედვით და უცხოეთის ვალიუტის მანეთებზე გადატანით მოსკოვის სასაქონლო ბირჟის საფონდო განყოფილების კურსისამებრ, რაც 1928 წლის ივნისის 1-თვის უცხოეთის ვალიუტის გაყიდვისათვის იქნება. განსაკუთრებული დანართის სახით წარდგენილ იქნება ნუსხები, რომლშიაც უცხოეთის ვალიუტის საგულვებელი შემოსავალ-გასავალი ნაჩვენები უნდა იყოს მანეთებზე გადაუტანლად; თანაც გამოიყვანება აღრიცხვის დამადასტურებელი ანგარიში.

შენიშვნა. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში რესპუბლიკების ბიუჯეტების წარდგენასთან ერთად, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები წარადგენენ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში, დაწვრილებითი და ჯუმლობითი ნუსხების სახით, ცალკეულ [illegible] ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რეს-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკების ბიუჯეტებში, ისე სპეციალურ სახსარში უცხოეთის ვალიუტით აღრიცხული საგულვებელი შემოსავალ-გასავლის თანხების შესახებ.

14. მოსალოდნელი შემოსავალი აღირიცხება სრულ თანხებად; ამ თანხებში მოთავსებული უნდა იყოს აგრეთვე ადგილობრივ სახსარში გადასაცემად დაწესებული ანარიცხები, რაც ა/კსფსრ ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში გატარებულ იქნება განსაკუთრებული კრედიტის სახით. უკეთუ ამა თუ იმ შემოსავალზე დაწესებულია ისეთი ანარიცხი, რაც, ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო-საგასავლო ნაწილში გაუტარებლად, უშუალოდ შეიტანება სპეციალურ სახსარში, დეპოზიტში (კუთვნილებისამებრ გადასაცემად) ან სხვა წყაროში, ამისგამო, სათანადო საფინანსო ხარჯთაღრიცხვაში მოსათავსებელი მოსალოდნელი შემოსავლის აღრიცხვის დროს, ასეთი ანარიცხი გამოკლებულ უნდა იქნეს, რაც აღრიცხვის დასაბუთებაში უნდა განიმარტოს.

15. საგასავლო საფინანსო ხარჯთაღრიცხვის პროექტში გათვალისწინებულ უნდა იქნეს უწყებისა თუ დაწესებულების ყველა საგულვებელი ხარჯი. ა/კსფსრ-ისა და მასში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებში—კუთვნალებისამებრ—დამატებითი საფინანსო ხარჯთაღრიცხვის პროექტის წარდგენა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ, ძირითადი საფინანსო ხარჯთაღრიცხვის პროექტის წარდგენის შემდეგ, გამოცემულ იქნა საკანონმდებლო ორგანოს დადგენილება ან წარმოიშვა სხვა კანონიერი ტიტული, რაც ახალ ხარჯებს იწვევს.

16. საგასავლო საფინანსო ხარჯთაღრიცხვის პროექტით სათანადო საოპერაციო კრედიტების შედგენილობაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის თანხები, რაც საჭიროა გადასახადისა, ბაჟისა და გამოსაღების გასასტუმრებლად.

17. საგასავლო საფინანსო ხარჯთაღრიცხვის პროექტის განსაკუთრებულ დანართში უწყებამ თუ დაწესებულებამ უნდა აღინიშნონ განაწილება მის ქვემდებარე სხვადასხვა დაწესებულებათა და საწარმოთა შორის.

18. ა/კსფსრ-ისა და მასში შემავალი რესპუბლიკების ის უწყებანი და დაწესებულებანი, რომელთაც შეუძლიანთ იქონიონ სპეციალური სახსარი, თავიანთ საფინანსო ხარჯთაღრიცხვის პროექტის სავალდებულო დანართად წარადგენენ სპეციალური სახსარის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვას.

19. საერთო-ფედერატიულ ბიუჯეტშიგასატარებელ სახელმწიფო შემოსავალ-გასავალის საფინანსო ხარჯთაღრიცხვების პროექტებს და განაცხადებს საერთო-ფედერატიული ბიუჯეტის განსაკუთრებული ფონდებიდან და ფონდის ხასიათის მქონე დანიშნულებებიდან ასიგნების გადადების შესახებ—ა/კსფსრ ცენტრალური დაწესებულებები, საერთიანებული სახალხო კომისარიატები და დაინტერესებული ორგანიზაციები წარადგენენ ა/კსფრს ფინანსთა სახალხო კომისარიატში არა უგვიანეს ა/წ. ივლისის 5-სა. თვითეული საერთო-ფედერატიული უწყებისა და დაწესებულის მიერ შემოსავალ-გასავლის საფინანსო ხარჯთაღრიცხვის ცალკეულად წარდგენის საზედმიწევნო ვადას, ზემოაღნიშნული ვადის ფარგლებში, განსაზღვრავს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით სახალხო მეურნეობის ფინანსიურად მოგვარებისათვის საჭირო დანიშნულებათა აღრიცხვას აწარმოებს ა/კსფსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინანსთა სახალხო კომისარიატი. რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის მიმართ ეს აღრიცხვა ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა უნდა მოახდინოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების მიერ წარმოებული აღრიცხვის საფუძველზე, რისთვისაც დაცულ უნდა იქნეს ამა დადგენილების მე-4 მუხლში აღნიშნული პირობები; ამასთანავე, დასახელებული აღრიცხვა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებმა უნდა მოახდინონ და აცნობონ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს აგრეთვე არა უგვიანეს ა/წ. ივლისის 5-სა. თანაც დაინტერესებული უწყებისა და ორგანიზაციის მიერ სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატში წარდგენილი განაცხადის ასლი იმავე დროს უნდა გაგზავნოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებში რესპუბლიკების ბიუჯეტებით გასატარებელი სახელმწიფო შემოსავალ-გასავალის საფინანსო ხარჯთაღრიცხვების პროექტებისა, ფონდებიდან და ფონდის ხასიათის მქონე დანიშნულებიდან ასიგნვების გადადების შესახებ შესატანი განაცხადებისა და აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის ფინანსიურად მოგვარებისათვის საჭირო დანიშნულებათა აღრიცხვების წარდგენის ვადები განისაზღვრება ამ რესპუბლიკების კანონმდებლობის წესისამებრ, ხოლო იმ პირობით, რომ სახალხო მეურნეობის ფინანსიურად მოგვარებისათვის საჭირო დანიშნულებათა აღრიცხვის წარდგენა ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში უზრუნველყოფილ იქნეს ა/წ. ივლისის 5-თვის და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ დამტკიცებული ბიუჯეტების წარდგენა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში უზრუნველყოფილ იქნეს არა უგვიანეს, ვიდრე ა/წ. ივლისის 20-სათვის.

ა/კსფსრ 1928-1929 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი—მოკლე განმარტებითი წერილით და იმ დანართებითურთ, რაც საჭიროა ბიუჯეტის განხილვისათვის—წარდგენილ უნდა იქნეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში—განსახილველად და დასადასტურებლად—და იმავე დროს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში არა უგვიანეს ა/წ. აგვისტოს 10-სა იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ამ ბიუჯეტის განხილვა და დადასტურება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ და ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში დასამტკიცებლად წარდგენა აგვისტოს 24-დე, ხოლო ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის სსრკ სახალხო კომისართა საბჭოში წარდგენა—ა/წ. სექტემბრის 15-თვის.

20. საერთო-ფედერატიული ბიუჯეტით გასატარებელი სახელმწიფო შემოსავალ-გასავალის საფინანსო ხარჯთაღრიცხვების პროექტები—დანართებითურთ—ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომიაარიატს წარედგინება ექვს ცალად. ამავე დროს ამ პროექტების ასლს—დანართებითურთ—ხარჯთაღრიცხვის შემდგენელი უწყება თუ დაწესებულება გაუგზავნის თითო ცალად ყველა იმ დაწესებულებას, რომლის წარმომადგენელიც წევრია ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებული სახარჯთაღრიცხვო-საბიუჯეტო თათბირისა, და აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიას.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების უწყებათა და დაწესებულებათა მიერ რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებში წარსადგენი სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის საფინანსო ხარჯთაღრიცხვების პროექტების ცალთა რაოდენობა განისაზღვრება რესპუბლიკების კანონმდებლობის წესისამებრ.

21. ა/კსფსრ-ისა და მასში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს (საბიუჯეტო სამმართველოების ხაზით) უფლება აქვთ წარავლინონ სათანადო უწყებასა და დაწესებულებაში თავიანთი წარმომადგენელნი ყველა სახარჯთაღრიცხვო მასალების გასაცნობად, რაც ხარჯთაღრიცხვების შემდგენელთა განკარგულებაშია. ხარჯთაღრიცხვის შემდგენელი უწყება და დაწესებულება მოვალეა გაუწიოს დასახელებულ წარმომადგენელთ ყოველგვარი დახმარება საჭირო ცნობებისა და განმარტების მიცემით.

II. ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენა.

22. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები—განმარტებითი წერილებითურთ—წარიმართება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში არა ნაკლებ, ვიდრე ათ ცალად.

ა/კსფსრ შიდგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტების მიღებისათანავე, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობა მოვალეა დაუყოვნებლივ თვითეული ბიუჯეტის—განმარტებითი წერილებითურთ—ექვსექვსი ცალი გაგზავნოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში, თითო ცალი ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში და თითო ცალი ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში.

23. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების 1928-1929 საბიუჯეტო წლის ბიუჯეტებს დაერთვის:

ა) საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების ნუსხა 1928-1929 საბიუჯეტო წლის ბიუჯეტით, 1927-1928 საბიუჯეტო წელთან შეფარდებული; ბ) ახალი ხარჯების ნუსხა (საადმინისტრაციო და საოპერაციო ცალკე)—თვითეული ახალი ხარჯის რაოდენობისა და კანონიერი ტიტულს აღნიშვნით; გ) 1927-1928 საბიუჯეტო წლის იმ ხარჯების ნუსხა, რაც მოხსნილია 1928-1929 საბიუჯეტო წლის ბიუჯეტიდან—ამ ხარჯების რაოდენობის აღნიშვნით; დ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი თვითეული რესპუბლიკის შემოსავალ-გასავლის ჯუმლი და აზერბაიჯანის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების შემოსავალ-გასავლის ჯუმლები და თვითეული რესპუბლიკის—მთლიანად—შემოსავალ-გასავლის საჯუმლო ნუსხა, 1927-1928 საბიუჯეტო წელთან შეფარდებული; ე) საუწყებო ხარჯების ჯუმლი კლასიფიკაციით დაწესებული პარაგრაფების ქსელის მიხედვით (სამუშაო ხელფასი, საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯები, საგზაო კმაყოფა და სხვ.); ვ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ყველა უწყების სპეცია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურ სახსართა შემოსავალ-გასავლის ჯუმლი, 1927-1928 საბიუჯეტო წელთან შეფარდებული (უწყებათა და დანიშნულებათა საგნების მიხედვით).

24. ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს შეადგენს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი—ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბეუჯეტის შემოსავალ-გასავლის საბალანსო ჯუმლის ფორმით და საერთო-ფედერატიული ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის—ცალკე—და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი თვითეული რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის—ცალკე—საბალანსო ჯუმლების ფორმით; პროექტს დაერთვის მოკლე განმარტებითი წერილი და 23 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“, „ე“ და „ვ“ პუნქტებში ჩამოთვლილი მასალა მთლად ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტისა, სხვათა შორის, საერთო-ფედერატიული ბიუჯეტისა და ა/კსფსრ შედგინილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებისა.

25. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ წარადგენს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში თავის წერილობით დასკვნას ათი დღის ვადაზე ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატიდან ბიუჯეტის მიღების დღიდან.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭ. საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. ივნისის 7. ტფილისი—სასახლე.

საქართველოს სახ. კომის. საბჭოს საქმეთა მმართველობის ს ტ ა მ ბ ა

მთავლიტი 1488. ტირაჟი 1000